



## საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 095/14<sup>1</sup> გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

ნინო ხიზანიშვილი (სტუდენტი)

### ფაქტები

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა მ. ჭ.-მ და მოითხოვა ადვოკატის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება, რადგან ადვოკატმა იგი სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას, დარბაზში მყოფი პირების წინაშე მოიხსენია „ექვმიტანილად“, რის გამოც მ.ჭ.-მ შეურაცხყოფილად იგრძნო თავი. ასეთი წოდების შედეგად, მას ყველა დამნაშავედ მოიაზრებს, რის გამოც საკუთარ ქალაქში ცხოვრება გაუსაძლისი გახდა.

### სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატის მიერ ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5(გ) მუხლისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის (შემდგომში - აპეკ) 9.1 მუხლის შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებით. კომისიამ დაადგინა, რომ განსახილველი საკითხი მდგომარეობს შემდგომში: ა) არის თუ არა „ექვმიტანილი“ საჯაროდ გამოთქმული 2) ეს გამონათქვამი არღვევს თუ არა აპეკით დადგენილ ქცევის წესს. კოლეგიამ მიიჩნია რომ სახეზეა „ექვმიტანილის“ საჯაროდ გამოთქმა, რაც გულისხმობს სუბიექტის ასოცირებას კონკრეტულ ფაქტთან და ამ ფაქტის სუბიექტურ შეფასებასთან. ამ სიტყვის გამოყენება არ ნიშნავს იმას, რომ ადრესატი არის მხილებული ამა თუ იმ ფაქტში. ადვოკატი კლიენტის წარმომადგენლობისას არ არის შეზღუდული ამ სიტყვის გამოყენებით, რადგან კანონისმიერი პრეზუმცია კრძალავს არა ეჭვს, არამედ სრულყოფილ შეფასებას შესაბამისი უწყების გარეშე გამოტანილი გადაწყვეტილების გარეშე. სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლებიდან გამომდინარე, ადვოკატს არ უნდა შეეზღუდოს მსგავსი გამონათქვამით სარგებლობის უფლება მიუხედავად იმისა, რომ სიტყვის ადრესატი, შესაძლოა განიცდიდეს დისკრედიტაციას. თუ სიტყვა ან აზრი შეურაცხყოფს პირს, მოქმედებს კანონისმიერი პრევენციული ღონისძიებები. მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია მიადგა თუ არა საჩივრის ავტორს ადვოკატის გამონათქვამის გამო ზიანი და ამ ზიანიდან გამომდინარე ადვოკატმა ხელყო თუ არა პროფესიული ქცევის რეგულიაციები და პროფესიული სახელი. მხოლოდ სუბიექტური ასიპათია ან დისკრედიტაციის მსგავსი აღქმა, არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ადვოკატს შეეზღუდოს სიტყვის გამოხატვის უფლება ეჭვის დონეზე. თუკი ადვოკატის ქცევა შეფასდება არაეთიკურად, ასეთ შემთხვევაში დარღვეული იქნება გონივრული ბალანსი სიტყვის, აზრის გამოხატვის თავისუფლებასა და შეურაცხყოფას ანუ მორალურ ზიანს შორის.

### დასკვნა

ადვოკატის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, ვინაიდან ადვოკატის მიერ პროცესის მონაწილე მეორე მხარისათვის „ექვმიტანილის“ წოდება არ წარმოადგენს ისეთ ქმედებას, რომ ადვოკატს შეეზღუდოს სიტყვის თავისუფლება. „ექვმიტანილის“ წოდების მაღალი ალბათობით დადასტურების შემთხვევაშიც, აღნიშნული არ წარმოადგენს ადვოკატთა პროფესიული ქცევის რეგულიაციების დარღვევას.

<sup>1</sup> <https://gba.ge/pdf/5c5065d5b22d0.pdf/5c5065d5b22d0.pdf>